

ევროპული კონვენცია ავტოსატრანსპორტო საშუალების  
მართვის უფლების ჩამორთმევის საერთაშორისო შედეგებზე

ბრიუსელი, 3. VI. 1976

ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნები, ქვემოთ ხელმომწერები,

ითავლისწინებენ რა ავტოსაგზაო შემთხვევების სიმრავლეს და მათ სერიოზულ შედეგებს,

ითვალისწინებენ რა საგზაო დანაშაულების აღეკვატური საშუალებებით კონტროლის უდიდეს მნიშვნელობას საგზაო უსაფრთხოებისათვის,

ითვალისწინებენ რა, რომ პირისთვის ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევა, გარდა სხვა პრევენციული და დამსჯელი ზომებისა, წარმოადგენს ეფექტურ საშუალებას ამ მიზნით,

ითვალისწინებენ რა, რომ სულ უფრო მზარდი საერთაშორისო საგზაო მოძრაობა ამართლებს მცდელობების გაძლიერებას, რათა მიღწეულ იქნეს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის ჰარმონიზაცია და უზრუნველყოფილ იქნეს, რომ მართვის უფლების ჩამორთმევის თაობაზე მიღებულმა გადაწყვეტილებებმა გავლენა იქონიონ იმ სახელმწიფოს ფარგლებს გარეთაც, სადაც ეს გადაწყვეტილებები იქნა მიღებული,

ითვალისწინებენ რა, რომ აღნიშნული თანამშრომლობა უკვე იქნა მხარდაჭერილი ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის (71) 28 რეზოლუციით, რომელიც ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევას ეხება,

აღიარებენ რა, რომ ევროპის საბჭოს მიზანია მის წევრებს შორის უფრო მეტი ერთიანობის მიღწევა,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

## **თავი I – განსაზღვრებები**

### **მუხლი 1**

აღნიშნულ კონვენციაში:

- a. „მართვის უფლების ჩამორთმევა“ ნიშნავს ნებისმიერ საბოლოო ზომას, რომლის მიზანია იმ მძღოლისათვის მართვის უფლების შეზღუდვა, რომელმაც ჩაიდინა საგზაო დანაშაული. ასეთ ზომას შეიძლება ჰქონდეს როგორც ძირითადი, ისე დამატებითი სასჯელის ან უსაფრთხოების ზომის ფორმა და რომელიც შეიძლება დაწესდეს სასამართლოს ან ადმინისტრაციულ ორგანოს მიერ;
- b. „საგზაო დანაშაული“ ნიშნავს ყველა იმ დანაშაულს, რომელიც გათვალისწინებულია „საგზაო დანაშაულების საერთო ცხრილში“, რომელიც თან ერთვის წინამდებარე კონვენციას.

## **თავი II – მართვის უფლების ჩამორთმევის შედეგები**

### **მუხლი 2**

ხელშემკვრელმა მხარემ, რომელმაც მართვის უფლების ჩამორთმევის ბრძანება გასცა, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამის შესახებ იმ ხელშემკვრელ მხარეებს, რომელმაც აღნიშნული მართვის მოწმობა გასცა და რომლის ტერიტორიაზეც ცხოვრობს დანაშაულის ჩამდენი პირი.

### **მუხლი 3**

ხელშემკვრელ მხარეს, რომელსაც ეცნობება მართვის უფლების ჩამორთმევის შესახებ, თავისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად შეუძლია, საკუთარი შეხედულებისამებრ, გასცეს მართვის უფლების ჩამორთმევის ბრძანება, თუ ანალოგიური ფაქტები და გარემოებები, რომლებმაც მეორე ხელშემკვრელი მხარის შესაბამისი მოქმედება გამოიწვიეს, საკუთარი ქვეყნის ტერიტორიაზე მოხდებოდა.

## **მუხლი 4**

მოთხოვნის შემთხვევაში, იმ ხელშემკვრელმა მხარემ, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება, უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია ამ შეტყობინების შედეგად თითოეულ გაწეულ ქმედებაზე.

## **მუხლი 5**

წინამდებარე კონვენცია არ ზღუდავს ხელშემკვრელი მხარეების უფლებას გამოიყენონ ის ზომები, რომლებიც მათი კანონმდებლობით არის გათვალისწინებული.

## **თავი III – პროცედურები**

### **მუხლი 6**

1. ხელშემკვრელმა მხარეებმა ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისადმი გაგზავნილ განცხადებაში უნდა მიუთითონ ის კომპეტენტური ორგანოები, რომლებიც გააგზავნიან და მიიღებენ მე-2 მუხლით გათვალისწინებულ შეტყობინებებს, ასევე უნდა მიუთითონ სხვა ნებისმიერი კავშირები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას წინამდებარე კონვენციის გამოყენების შედეგად.
2. ამგვარ შეტყობინებებს ფაქტების მტკიცებულებასთან ერთად თან უნდა ახლდეს იმ გადაწყვეტილების დამოწმებული ასლი, რომელიც მართვის უფლების ჩამორთმევის ბრძანებას ეხება.
3. იმ შემთხვევაში, თუ ის ხელშემკვრელი მხარე, რომელსაც შეტყობინება გაეგზავნა, მიიჩნევს, რომ მიწოდებული ინფორმაცია არასაკმარისია, რათა აღნიშნული კონვენციის გამოყენება მოხდეს, მაშინ მან უნდა გამოითხოვოს საჭირო დამატებითი ინფორმაცია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, მოითხოვოს საქმის დამოწმებული ასლის მისთვის მიწოდება.

### **მუხლი 7**

ხელშემკვრელმა მხარეებმა უნდა გაავრცელონ თავიანთი წესები სისხლის სამართლის საქმეებში საერთაშორისო ურთიერთდახმარებაზე, რათა მოიცვან წინამდებარე კონვენციის გამოყენებისათვის აუცილებელი ზომები.

## **მუხლი 8**

1. წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტის დებულებების გათვალისწინებით, შეტყობინებების ან დამხმარე დოკუმენტების თარგმანი არ უნდა იქნეს მოთხოვილი.
2. ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია ხელმოწერისას ან რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან შეერთების სიგელის დეპონირებისას ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისადმი გაგზავნილი განცხადებით დაიტოვოს უფლება და მოითხოვოს, რომ შეტყობინებებსა და დამხმარე დოკუმენტებს თან ახლდეს თარგმანი მის ენაზე ან ევროპის საბჭოს ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე, ან იმ ენაზე, რომელსაც ის მიუთითებს. სხვა ხელშემქვრელ მხარეს შეუძლია ნაცვალგებით მოითხოვოს იგივე.

## **მუხლი 9**

წინამდებარე კონვენციის გამოყენების დროს გაგზავნილი დოკუმენტების აუთენტიფიკაცია საჭიროებას არ წარმოადგენს.

## **მუხლი 10**

ხელშემქვრელმა მხარეებმა ერთმანეთს არ უნდა მოთხოვონ წინამდებარე კონვენციის გამოყენებისას გაწეული ხარჯების ანაზღაურება.

## **თავი IV - საბოლოო დებულებები**

## **მუხლი 11**

1. წინამდებარე კონვენციის ხელმოწერა შეუძლია ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებს. იგი ექვმდებარება რატიფიკაციას, მიღებასა და დამტკიცებას. რატიფიკაციის, მიღებისა და დამტკიცების ინსტრუმენტების დეპონირება უნდა მოხდეს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან.
2. კონვენცია ძალაში შედის რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების მესამე ინსტრუმენტის დეპონირებიდან სამი თვის შემდეგ.

3. ხელმომწერ ქვეყანასთან დაკავშირებით, რომელიც მის რატიფიკაციას, მიღებასა და შესაბამისად, დამტკიცებას ახდენს, წინამდებარე კონვენცია ძალაში შედის მისი რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების ინსტრუმენტის დეპონირებიდან სამი თვის შემდეგ.

## მუხლი 12

1. წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს შეუძლია კონვენციასთან შესაერთობლად მოიწვიოს ნებისმიერი ევროსაბჭოს არაწევრი სახელმწიფო.
2. შეერთება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივნისთვის შეერთების ინსტრუმენტის დეპონირებით უნდა მოხდეს, რომელიც ძალაში შევა აღნიშნული ინსტუმენტის დეპონირებიდან სამი თვის შემდეგ.

## მუხლი 13

1. ნებისმიერ სახელმწიფოს ხელმომწერის ან რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან შეერთების ინსტრუმენტის დეპონირებისას შეუძლია დააკონკრეტოს ის ტერიტორია ან ტერიტორიები, სადაც წინამდებარე კონვენცია გავრცელდება.
2. ნებისმიერ სახელმწიფოს რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან შეერთების ინსტრუმენტის დეპონირებისას ან ნებისმიერ სხვა დროს ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისადმი გაგზავნილი განცხადებით შეუძლია განავრცოს წინამდებარე კონვენცია განცხადებაში მითითებულ ნებისმიერ სხვა ტერიტორიაზე ან ტერიტორიებზე, ასევე იქ, რომლის საერთაშორისო ურთიერთობზეც თავად არის პასუხისმგებელი.
3. ნებისმიერი განცხადება, რომელიც წინამდებარე პუნქტთან მიმართებაში გაკეთდა და განცხადებაში ნახსენებ ტერიტორიას ეხებოდა, შეიძლება გამოთხოვილ იქნას ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისადმი გაგზავნილი შეტყობინების საშუალებით. იგი ძალაში შევა ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მიერ გამოთხოვის განცხადების მიღებიდან ექვი თვის შემდეგ.

## მუხლი 14

1. იმ შემთხვევაში, თუკი ორ ხელშემკვრელ მხარეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გარკვეული აქვთ ურთიერთობა ერთიანი საკანონმდებლო ბაზის მეშვეობით ან შექმნილი აქვთ ნაცვალგების სპეციალური სისტემა, რომელიც უფრო ფართო ვალდებულებებს გულისხმობს, ან კიდევ მომავალში ექნებათ

ამგვარი რამ, მათ უფლება ეძლევათ თავად დაარეგულირონ ამგვარი ურთიერთობები.

2. ხელშემკვრელმა მხარეებმა, აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, აღნიშნულ საკითხზე წინამდებარე კონვენციის პირობების ორშერივი ურთიერთობების გამოყენების შეწყვეტა ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს უნდა შეატყობინონ.

## მუხლი 15

1. ნებისმიერ ხელშემკვრელ მხარეს ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისადმი მიმართული შეტყობინებით შეუძლია, იმდენად რამდენადაც ეს მას ეხება, მოახდინოს წინამდებარე კონვენციის დენონსირება.
2. დენონსირება ძალაში შედის ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მიერ მიღებული შეტყობინებიდან ექვსი თვის შემდეგ.

## მუხლი 16

1. ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებსა და ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელიც წინამდებარე კონვენციას შეუერთდა უნდა შეატყობინოს:
  - a. ხელმოწერა;
  - b. რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან შეერთების ინსტრუმენტის დეპონირება;
  - c. მე-11 მუხლის შესაბამისად, წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლის თარიღი;
  - d. მე-6 მუხლის, 1 პუნქტის დებულებების თანახმად, ნებისმიერი შემოსული განცხადება;
  - e. მე-8 მუხლის, 2 პუნქტის დებულებების თანახმად, ნებისმიერი შემოსული განცხადება;
  - f. მე-13 მუხლის დებულებების თანახმად, ნებისმიერი შემოსული განცხადება ან შეტყობინება;
  - g. მე-14 მუხლის, 2 პუნქტის დებულებების თანახმად, ნებისმიერი შემოსული შეტყობინება;
  - h. მე-15 მუხლის დებულებების თანახმად, ნებისმიერი შემოსული შეტყობინება, ასევე ის თარიღი, როდესაც დენონსირების ძალაში შესვლა ხდება.

## მუხლი 17

წინამდებარე კონვენცია, განცხადებები და შეტყობინებები ამგვარად შესრულებული გამოყენებული იქნება მხოლოდ და მხოლოდ საგზაო დანაშაულებებთან მიმართებაში, მას შემდეგ, რაც ხელშემკვრელი მხარეებისათვის წინამდებარე კონვენცია ძალაში შევა.

ზემოაღნიშნულის დასტურად, ქვემოთ ხელისმომწერებმა, სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილებმა, ხელი მოაწერეს წინამდებარე კონვენციას.

შესრულებულია ბრიუსელში 1976 წლის ივნისის მე-3 დღეს, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, ორივე ტექსტი თანაბრად აუთენტურია, ერთ ეგზემპლარად, რომელიც დეპონირებული იქნება ევროპის საბჭოს არქივში. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი დამოწმებულ ასლებს გადასცემს თითოეულ ხელისმომწერ და მასთან შეერთებულ მხარეს.

### დანართი

#### საგზაო დანაშაულების საერთო ცხრილი

1. გზებზე გაუფრთხილებლობით ჩადენილი მქვლელობა ან გაუფრთხილებლობით სხეულის დაზიანება;
2. „დარტყმა და გაქცევა“, ანუ ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის მიერ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის დროს დაკისრებული მოვალეობის წინასწარგანზრახული შეუსრულებლობა.
3. ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვა:
  - a. ტოქსიკური ან ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ;
  - b. ნარკოტიკული საშუალების ან მსგავსი ეფექტის მქონე პროდუქციის ზემოქმედების ქვეშ;
  - c. ზედმეტი გადაღლილობის დროს.
4. იმ ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვა, რომელსაც არ გააჩნია მესამე მხარის პასუხისმგებლობის დაზღვევა მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად, რაც გამოწვეულია ავტოსატრანსპორტო საშუალების გამოყენებით.
5. საგზაო მოძრაობასთან დაკავშირებით პოლიციელის მიერ მითითებული დირექტივის შეუსრულებლობა.
6. შემდეგი წესების შეუსრულებლობა:
  - a. ავტოსატრანსპორტო საშუალების სიჩქარე;

- b. მოძრაობაში მყოფი ავტოსატრანსპორტო საშუალებების პოზიცია და მიმართულება, შემხვედრი მოძრაობა, გასწრება, მიმართულების შეცვლა და შლაგბაუმებზე გავლა;
  - c. გზის დათმობა;
  - d. განსაზღვრული ავტოსატრანსპორტო საშუალებების, კერძოდ, სახანძრო, სასწრაფო და პოლიციის მანქანების საგზაო უპირატესობა;
  - e. ნიშნები, სიგნალები და საგზაო ნიშნები, კერძოდ, ნიშანი – “stop”;
  - f. ავტოსატრანსპორტო საშაულებების პარკირება და გაჩერება;
  - g. განსაზღვრულ გზებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების გარკვეული კლასების დაშვება (მაგალითად, მათი წონისა და ზომის მიხედვით);
  - h. ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და ტვირთის უსაფრთხოების მექანიზმები;
  - i. ავტოსატრანსპორტო საშაულებებისა და ტვირთის აღწერილობითი (სასიგნალო) ნიშნები;
  - j. ავტოსატრანსპორტო საშუალებების შუქ-ფარები და მათი გამოყენება;
  - k. ავტოსატრანსპორტო საშუალების ტვირთი და ტევადობა;
  - l. ავტოსატრანსპორტო საშუალების, სარეგისტრაციო სანომრე ნიშნებისა და ეროვნული სანომრე ნიშნების რეგისტრაცია.
7. მოქმედი მართვის მოწმობის გარეშე მართვა.